აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი № 37

19 დეკემბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

სხდომას უძღვებოდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე არჩილ მიქელაძე.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქეთევან ჯიქია, თამაზ შარმანაშვილი, თამარ ხოზრევანიძე, გია გარსევანიშვილი, ასლან ჩავლეიშვილი, თენგიზ ცინცქილაძე, დავით რობაქიძე, ირაკლი გვარამია, ავთანდილ ჩახვაძე და ანზორ ბაღათურია.

სხდომას არ ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ლევან გაბრიჩიძე და მამუკა ჯაში.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“, „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი და კომისიის წინაშე დააყენა საკითხი წარმოდგენილ დღის წესრიგის დამტკიცებამდე მასში ცვლილების შეტანის შესახებ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დღის წესრიგს უნდა დამატებოდა ერთი საკითხი – უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 30 ნოემბრის №112 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს დღის წესრიგის პროექტის დამტკიცებასთან დაკავშირებით შენიშნვები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის ცვლილების გათვალისწინებით დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ;

(მომხ. ა. მიქელაძე)

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგების შეჯამება;

(მომხ. ქ. ჯიქია)

3. განკარგულება
უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 30 ნოემბრის №112 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ.

(მომხ. ა. მიქელაძე)

1. განკარგულება
ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა ზოგიერთი საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი. მან აღნიშნა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს არჩევნების დასრულების შემდეგ ოლქების მიერ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი უნდა იქნას საფინანსო ანგარიში. მან აღნიშნა, რომ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების (საფინანსო) ანგარიშის ფორმას განკარგულებით

ადგენს უსკო რის გამოც აუცილებელია მიღებული და დამტკიცებული იქნას საოლქო საარჩევნო კომისიების ხარჯების (საფინანსო) ანგარიშის ფორმა. ასევე ისაუბრა აღნიშნული ფორმის შევსების წესებსა და პირობებზე და განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 56-ე მუხლის მე-3 პუნქტის და მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს**:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის არჩევნებთან დაკავშირებული საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უმაღლესი საარჩევნო კომისიისათვის წარმოსადგენი ხარჯების ანგარიშის ფორმა თანდართული ნიმუშის მიხედვით.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგების შეჯამება.

მოისმინეს: მომხსენებელმა ქეთევან ჯიქიამ კომისიის წევრებს აცნობა, რომ №83 ხელვაჩაურის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმებზე და №83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმზე საჩივრების განხილვა არ მიმდინარეობს (ოლქში, სასამართლოში), აღნიშნულიდან გამომდინარე საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე შეჯამებული უნდა იქნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგები. ასევე კომისიის წევრებს გააცნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნების 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

(ოქმი თან ერთვის)

მანვე აღნიშნა, რომ 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების შედეგების მიხედვით, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა იყო 72 054, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობა 6 489, ბათილად მიჩნეული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა კი 336. ასევე კომისიას დეტალურად გააცნო 2008 წლის 14 დეკემბრის №83 ხელვაჩაურის ოლქში ხელახალ მაჟორიტარულ არჩევნებში დაფიქსირებული შედეგები და აღნიშნა, რომ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წევრად №83 ხელვაჩაურის ერთმნდატიან ოლქში მაჟორიტარული სისტემით არჩეული იქნა ზაზა შაშიკაძე, რომელმაც საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში უსკო-ში წარმოადგინა ცნობა ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ.

მიღებულია ინფორმაციად.

3. განკარგულება

უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 30 ნოემბრის №112 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 30 ნოემბრის №112 განკარგულებაში დამატების შეტანის შესახებ განკარგულება. მან აღნიშნა, რომ 2008 წლის 30 ნოემბერს უმაღლესი საარჩევნო კომისიის მიერ მიღებული იქნა №112 განკარგულება უსკოს წევრებისათვის, აპარატის თანამშრომლებისათვის და შრომითი ხელსეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებისათვის ხელახალი არჩევნების პერიოდში გაწეული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზრაურების შესახებ. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ განკარგულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას დამატება და 2008 წლის 3 ნოემბრის, 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისყრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების შრომის ანაზღაურების ფონდიდან საბიუჯეტო წლის ბოლოს წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე, აპარატის თანამშრომლებზე და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი აპარატის თანამშრომლებზე შესრულებული არასამუშაო დროის და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის გაიცეს ანაზღაურება უსკოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად. ასევე განიხილა ყველა ის საკითხი, რაც წარმოდგენილი იყო განკარგულების პროექტში.

აზრი გამოთქვეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მოწონებული იქნა კომისიის წევრების მიერ.

სხდომის თავმჯდომარემ არჩილ მიქელაძემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი: მომხრე 11;
წინააღმდეგი 0;
(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 11 წევრი).

მიღებულია განკარგულება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 28-ე მუხლის, მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის და უსკოს რეგლამენტის მე-3 მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2008 წლის 30 ნოემბრის №112 განკარგულებას პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1^1 პუნქტი:

„1^1 აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის, 2008 წლის 16 ნოემბრის განმეორებითი კენჭისჭრისა და 2008 წლის 14 დეკემბრის ხელახალი მაჟორიტარული არჩევნების ღონისძიებების დაფინანსების შრომის ანაზღაურების ფონდიდან საბიუჯეტო წლის ბოლოს წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრებზე, აპარატის თანამშრომლებზე და შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე აყვანილი უსკოს აპარატის თანამშრომლებზე, შესრულებული არასამუშაო დროისა და ზეგანაკვეთური მუშაობისათვის გაიცეს ანაზღაურება უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად.“

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

სხდომაზე განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია